არქეოლოგიურ ფაქტებზე დაყრდნობით მოცემული რეცენზია აღნიშნული ტრადიციის მყარი, ადგილობრივი ფესვების არსებობაზე მიუთითებს. ლიტ. 21.

ავტ.

1.6.1.2.9. პიტიახშები ანტიკური ხანის იბერიაში. /ზ. ბრაგვაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 80-93. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
1902 წელს, სოფელ ბორში ნაპოვნი არქეოლოგიური არტეფაქტები ინახება სანკტ-პეტერბურგის „ერმიტაჟში". მასალებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი არამეული წარწერით: „კეთილი პიტიახშ ბუზმიჰრი". ამ წარწერით ცნობილი გახდა, რომ რომაული ეპოქის იბერიის სამეფოში არსებობდა პიტიახშის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, საინტერესოა, არის თუ არა პიტიახშის საძვალე ის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა აღნიშნული ნივთი. საქმე ის არის, რომ ბორში არ გვხვდება სარკოფაგები და აკლდამები, მხოლოდ ორმოსამარხებია, რაც ჩემი აზრით, გამორიცხავს აქ პიტიახშის განსასვენებლის არსებობას და ის მდიდრული ინვენტარიც, რომელიც აღმოჩენილია წარწერიან თასთან ერთად, პიტიახშის საკუთრება არ არის. უფრო სარწმუნოა, რომ ეს თასი პიტიახშ ბუზმიჰრის ნაჩუქარია. რომაული ხანის იბერიის სამეფოში მსგავსი შემთხვევა არაერთია ცნობილი. კონკრეტულად სად არის ბუზმიჰრ პიტიახშის სამარხი? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ არის ცნობილი. სტატიაში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია არმაზისხევის სამაროვნის პიტიახშების ქრონოლოგიური რიგი და გამოთქმულია ვარაუდი, რომ პიტიახშები დაკრძალული არიან მხოლოდ ნომერ 1, 2 და 3 სამარხებში. ასევე მოცემულია პიტიახშის სამარხებისა და არმაზისხევის ნაგებობების ურთიერთმიმართების საკითხი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ შენობები სამარხებზე ადრეულია. I საუკუნის 70-იან წლებში (არა უგვიანეს ქ.შ. 75 წ.) საცხოვრებელი განადგურდა მიწისძვრის შედეგად და მას აქეთ ეს ტერიტორია გამოიყენებოდა არმაზისხევის პიტიახშებისა და მათი ოჯახის წევრების სასაფლაოდ. ლიტ. 43.

ავტ.

1.6.1.2.10. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული ადრეული შუა საუკუნეების თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა. /ნ. თავართქილაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 94-116. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ნაშრომში „სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა" შესწავლილია სამთავროს სამაროვანზე ადრეული შუა საუკუნეების დღემდე მოპოვებული ნორმალური და ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალები, რომლებიც დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში. თავის ქალების გარდა გამოყენებულია ამავე ინსტიტუციაში დაცული კრანიოლოგიური კატალოგი და ყოველი თავის ქალას ინდივიდუალური ბლანკი. ნაშრომი, ასევე ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული დავთრების ინფორმაციას, რომელთა საფუძველზე მოპოვებულია ცნობები სამთავროს სამაროვნის ადრეული შუა საუკუნეების სამარხების ტიპების, დაკრძალვის წესისა და არტეფაქტების შესახებ. ნაშრომში განხილულია თავის ქალას დეფორმაციის ტიპები, დაკრძალულთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ფიზიოლოგიური სტრესის მარკერები და ანომალიების სიხშირე ამ პერიოდის მოსახლეობაში. ასევე განსაზღვრულია ინვენტარის გადანაწილება დეფორმანტთა და არადეფორმანტთა შორის იმის დასადგენად იყვნენ თუ არა დეფორმანტები ელიტარული ფენის წარმომადგენლები. შედგენილია ცხრილები სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული დეფორმირებული და არადეფორმირებული თავის ქალების სქესისა და ასაკის განაწილების მიხედვით, რაც ნათელ სურათს იძლევა დეფორმანტთა და არადეფორმანტთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. დეფორმაციის მიზეზის დასადგენად განხილულია ისტორიული წყაროები